

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის

ბრძანება №3/92

2010 წლის 10 ივნისი

ქ. თბილისი

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2008 წლის 16 ივლისის №3/165 ბრძანების დანართი №2-ში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2010 წლის 27 აპრილის №9-2/267 და 3 მაისის №9-2/282 კორექსიონდენციისა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. ქ. ბათუმში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებისათვის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2008 წლის 16 ივლისის №3/165 ბრძანების დანართი №2-ის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/ძეგლის სააღრიცხვო ბარათი №020103052 (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 2008 წ. №31 ) შეიცვალოს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/ძეგლის სააღრიცხვო ბარათი №020201079-ით და ჩამოყალიბდეს დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს კულტურული მემკვიდრეობის სტრატეგიის, ორგანიზაციების კოორდინაციისა და ნებართვების დეპარტამენტს ამ ბრძანების ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში, ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული ობიექტის მონაცემების სამინისტროს ინტერნეტ-გვერდზე ასახვა.
3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს მთავრობაში (მისამართი: ქ. თბილისი, პავლე ინგოროყვას ქუჩა №7).

მინისტრის  
მოვალეობის შემსრულებელი

მ. ჭოლოშვილი

კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/ძეგლის სააღრიცხვო  
ბარათი № 020201079



1. სახელწოდება – საცხოვრებელი სახლი
2. ადგილმდებარეობა / მისამართი - საქართველო, ქ. ბათუმი, ერას ქ. №25 /26  
მაისის ქ. №34
3. სახეობა - არქიტექტურის
4. თარიღი – 1931-1932 წწ.